ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №10

2022 წლის 29 აპრილი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წელს განხორციელებული

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის

შესრულების ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნას მიღებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის შესრულება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქობულეთი

2022

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლისა და ,,შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანების საფუძველზე რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად პერიოდულად განხორციელდა გეგმის კორექტირება ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებისას დაგეგმილი ღონისძიებებისა და ელექტრონული ტენდერის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების საფუძველზე. ცვლილებების შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 32 110 166 (ოცდათორმეტი მილიონ ას ათი ათას ას სამოცდაექვსი) ლარი. 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში მრავალწლიანი ღონისძიებებთან დაკავშირებით ასახულია ის ღირებულებები, რომლებიც მხოლოდ 2021 წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

2021 წელს სახელმწიფო შესყიდვის საშუალებად მონეტარული ზღვრების შესაბამისად განისაზღვრა: ელექტრონული ტენდერი, კონკურსი, გამარტივებული შესყიდვა და კონსოლიდირებული ტენდერი.

2021 წელს ელექტრონული ტენდერები ძირითადად ჩატარდა აუქციონის გარეშე, დაფარული მონაცემებით. სულ გამოცხადებულია 141 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) და 1 კონკურსი.

გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებიდან/კონკურსებიდან:

- **უარყოფითი შედეგით დასრულდა** 4 ელექტრონული ტენდერი;
- **არ შედგა:** 16 ელექტრონული ტენდერი;
- **შეწყვეტილია:** 2 ელექტრონული ტენდერი;

უარყოფითი შედეგით დასრულებული, არ შემდგარი და შეწყვეტილი ტენდერებიდან ძირითადი ნაწილი ხელახლა გამოცხადდა და გაფორმდა ხელშეკრულებები.

2021 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში სულ დადებულია 178 ხელშეკრულება. მათ შორის 116 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, 1 კონკურსის, 25 კონსოლიდირებული ტენდერისა და 36 გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

შესყიდვის საშულება	დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა
ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე)	116
კონკურსი	1
გამარტივებული შესყიდვა	36
კონსოლიდირებული ტენდერი	25
ჯამი	178

2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა **30 244 789,92** ლარი.

განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ჯამური ღირებულება შეადგენს 242 458.59 ლარს.

დადებული ხელშეკრულებებიდან, რომელთა ნაწილი ვერ დასრულდა /ვერ დაფინანსდა 2021 წელს, გახდა გარდამავალი და მათი დაფინანსება განხორციელდება 2022 წელს.

გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებები ვერ შესრულდა 3 ხელშეკრულებაზე.

სამუშაოს/მომსახურების დასახელება	მიმწოდებელი	სახელშეკრულებო ღირებულება

წვევამდელთა ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა	ი/მ მინდია ტაკიძე	9000 ლარი
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს მეფური	72716.75 ლარი
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების/ ეზოების/სკვერების/ პარკების/ სპორტული-სათამაშო მოედნების და სხვადასხვა ტერიტორიის კეთილმოწყობის, ასევე შენობა/ნაგებობის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა	შპს კოლოსი	60600 ლარი

გამოცხადებული ტენდერებიდან 2021 წელს დავების განხილვის საბჭოში სულ შევიდა 1 საჩივარი:

- მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფის მომსახურების შესყიდვა (NAT210002646) - საჩივარი არ დაკმაყოფილდა.